

შეზღუდული კასუსისმგებლობის საზოგადოება  
“ტანდემი”

საქართველოს დასკვნა

ქ. თბილისში, მელიქიშვილის №10-ზე (გივის ნაკვეთის საკადასტრო  
კოდი №01.15.02.006.012) მდებარე საძართველოს მეცნიერებათა აკადემიის  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნობრაზის  
ისტორიის შენობის კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური  
გდგომარეობის შესახებ



თბილისი 2015 წ.

შეზღუდული კასუსისმბებლობის საზოგადოება  
“ტანდემი”

საქსკერტო დასკვნა

ქ. თბილისში, მელიქიშვილის №10-ში (მიწის ნაკვეთის საკადასტრო  
კოდი №01.15.02.006.012) მდებარე საძართველოს მიცნობილია აკადემიის  
02ანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის  
06სტიტუტის შენობის კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური  
გდგომარეობის შესახებ

შ.კ.ს. “ტანდემი”-  
დირექტორი



ექსპერტი, ინინერ-კონსტრუქტორი

ი. ჩავჭავაძე

ი. განიგავა

რ. აშხაძე

თბილისი 2015 წ.

## საქართო დასპანა

ქ. თბილისში, მელიქიშვილის №10-ში (მიწის ნაკვეთის საპარასტო)  
კოდი №01.15.02.006.012) მდგარე საქართველოს მცხოვრილი უფლის  
0226 ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის  
ინსტიტუტის შენობის კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური  
გდგომარეობის შესახებ

ქ. თბილისი

2015 წლის 11 დეკემბერი

სდააქციო საზოგადოება “გ”-ის ადმინისტრაციასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე დაისახა კვლევის მიზანი, ქ. თბილისში, მელიქიშვილის ქ. №10-ში (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი №01.15.02.006.012, საჯარო რეესტრიდან ამონაწერის განცხადების №882015618869 29/10/2015), მდებარე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის შენობის კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობის შესწავლა, მის აღგილზე ახალი მშენებლობის განხორციელების შემთხვევაში არსებული შენობის მთავარი ფასადის შენარჩუნების მიზნით.

“საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტრო”-ს მიერ 1992 წელს გამოცემული – “საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების გამოკვლევისა და სეისმომედეგობის საზოგადოებრივი შენობების გამოკვლევისა და სეისმომედეგობის საზოგადოებრივი შენობების გამოკვლევების წესები”-ს მოთხოვნათა კონსტრუქციების გამოკვლევების წესები”-ს მოთხოვნათა კონსტრუქციების გათვალისწინებით განისაზღვრა სამუშაოს მეთოდიკა და ამოცანები.

1. შენობის გეომეტრიული პარამეტრების დადგენა.
2. შენობის ვიზუალურ-ტექნიკური გამოკვლევა.
3. კვლევის შედეგების ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება.

### I. შენობის გეომეტრიული პარამეტრების დადგენა

დამკვეთის მიერ მოწოდებულ იქნა შ.კ.ს. “city building”-ის მიერ შესრულებული შენობის შიგა აზომვითი ნახაზები, რომლებიც გამოყენებულ იქნა შენობის გაბარიტული ზომებისა და მათი მზიდი კონსტრუქციული ელემენტების გეომეტრიული პარამეტრების

დასაზუსტებლად. შენობა გეგმაში სწორკუთხა ფორმისაა. მისი მაქსიმალური გაბარიტული ზომებია გეგმაში  $18,00 \times 46,05$  მ. შენობის მაქსიმალური სიმაღლე ტროტუარის ზედაპირიდან 21,80 მ-ია. გეგმარების მიხედვით, შენობა შეიძლება დავყოთ სამ ნაკვეთურად, მარჯვენა და მარცხენა ნაკვეთურები მსგავსია (მაგრამ განსხვავდებიან სიმაღლით), ხოლო შუა ნაკვეთური განსხვავდება დანარჩენისგან როგორც ფორმით, ასევე სიმაღლითაც. შენობა სამსართულიანია, უსარდაფო, ნაირსიმაღლიანი (თარხნიშვილის ქუჩის მხარეს მდებარე მარჯვენა ნაკვეთური უფრო მაღალია დანარჩენთან შედარებით). პირველი სართულის სიმაღლე 5,60 მ-ია (იატაკიდან იატაკამდე), მეორე სართულის – 4,05 მ, მესამე სართულის – 4,05 მ (თარხნიშვილის ქუჩის მხარეს არსებული ნაკვეთურისა კი – 7,90 მ).

პარალელურად შესწავლილ იქნა შენობის კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგრამარეობა, რომელიც დაფიქსირებულია დანართის სახით წარმოდგენილ ფოტომასალაზე. დამკვეთს განზრახული აქვს მელიქიშვილის ქ. №10-ში მდებარე შესასწავლი შენობის დემონტაჟი მთავარი ფასადის შენარჩუნების გათვალისწინებით.

## II. შენობის ვიზუალურ-ტექნიკური გამოკვლევა

ჩვენს მიერ შესწავლილი შენობა მდებარეობს ქ. თბილისში, ისტორიულ უბან ვერაზე. დაპროექტების ნორმების – “სამშენებლო კლიმატოლოგია”-ს მიხედვით ქ. თბილისის ამ უბნისათვის: თოვლის საფარის წონა შეადგენს 0,50 კპ-ს, ხოლო ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა კი 0,48 კპ-ს (15 წელიწადში ერთხელ). სამშენებლო ნორმებისა და წესების – “სეისმომედეგი მშენებლობა” (პნ 01.01-09)-ს სეისმური საშიშროების რუკის დანართის მიხედვით ქ. თბილისი მდებარეობს 8-ბალიანი სეისმური ინტენსივობის ზონაში.

შესწავლილი შენობა აგებულია XX საუკუნის დასაწყისში, 1930 წელს. შენობის საანგარიშო სქემა ხისტია, მის ძირითად მზიდ წელს. შენობის საანგარიშო სქემა ხისტია, მის ძირითად მზიდ ელემენტებს წარმოადგენს ჩვეულებრივი თიხის წითელი აგურის კედლების წყობა კირ-ცემენტის ხსნარზე, სისქით 2-აგური. ეზოს ფასადი მარცხენა ნაკვეთურზე (ეზოდან მარჯვენა მხარეს) მთლიანად და შუა მარცხენა ნაკვეთურზე (ეზოდან მარჯვენა მხარეს) მთლიანად და შუა ნაკვეთურზე პირველი სართულის დონემდე შელესილია ქვიშა-ცემენტის ხსნარით, ხოლო დანარჩენ ფასადზე ქვიშა-ცემენტის ნალესის შემდეგ დატანილია მოპირკეთების შრე. სართულშუა და სასხვენო გადახურვები შერეული ტიპისაა: ნაწილი მოწყობილია ხის კოჭებზე, ნაწილი კი

შესრულებულია მონოლითური რკინაბეტონის წიბოვანი ფილებისაგან. შესაბამისად, სახურავიც ნაწილობრივ ბრტყელია (ბურულად გამოყენებულია რულონური სახურავი), ნაწილობრივ კი ქანობიანი (ბურულად გამოყენებულია შავი თუნექის სახურავი). სართულებსშორის (ბურულად გამოყენებულია ქორციელდება მარცხენა ნაკვეთურში მდებარე კომუნიკაცია ძირითადად ხორციელდება მარცხენა ნაკვეთურში მდებარე კენტრალური სამმარშიანი კიბით. სართულებსშორის კომუნიკაციისთვის შენობას ასევე გააჩნია ამავე ნაკვეთურში (კენტრალური კიბის გვერდით) არსებული ორმარშიანი კიბე და მარჯვენა ნაკვეთურში არსებული სამმარშიანი კიბე.

შიგა ეზოს მხრიდან (შენობის უკანა ფასადზე) სართულშუა გადახურვების დონეზე შენობას გააჩნია მონოლითური რკინაბეტონის სარტყელი, რომელიც შეთაგსებულია ღიობების ზღუდარებთან. დანარჩენ ფასადებზე კი სარტყელის არსებობა არ შეიმჩნევა. დანარჩენ სამ ფასადზე კარებისა და ფანჯრების ზღუდარები შესრულებულია აგურის თაღური მრავალრიცხვანი ნაპრალოვანი გამჭოლი ბზარები, რის გამოც წყვეტა განიცადა ზოგიერთმა კონსტრუქციულმა ელემენტმა (იხილე ფოტომასალა). ვერტიკალური წყალსარინი მილების დაზიანების გამო, ინტენსიურად სველდება ფასადის კედლები. მოჭარბებული ნებტის პირობებში კედლების ეს ნაწილები დაფარულია ხავსითა და მცენარეული საფარით. ბზარი დავაფიქსირეთ ცენტრალური შესასვლელის (მარცხენა ნაკვეთური) იატაქშიც, რომელიც ვრცელდება მთავარ საკომუნიკაციო კიბებამდე. იმის გამო, რომ ზოგიერთი სათავსო დაკმტილი იყო, ვერ მოხერხდა მათი სრულყოფილად დათვალიერება.

საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის არარსებობის მიუხედავად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საძირკვლები ლენტური ტიპისაა შესრულებულია ყორებეტონისაგან.

სეისმური ინტენსივობის სკალის MSK-64-ის მიხედვით (ზემოხსენებული ინსტრუქციის დანართი V გვ. 128), შესწავლილი შენობა მიეკუთვნება “ბ”-ტიპის (“ჩვეულებრივი აგურის სახლები, მსხვილბლოკური და პანელური ტიპის შენობები, ხეაგურის შენობები, შენობები ბუნებრივი თლილი ქვისაგან”) შენობას. ამავე ინსტრუქციის თანახმად (ცხრილი II.3 გვ.26 პუნქტი №5), “მასიური წითელი და ხერეტილი აგურისაგან და კერამიკული ქვებისაგან ვერტიკალური სიცარიელეებით” – “ცემენტის, კირცემენტის და თიხნარცემენტის ხსნარის გამოყენებით” (მ-10 მარკის ხსნარის შემთხვევაში) წყობას შეგვიძლია მივაკუთვნოთ მე-3 კატეგორია, “ქვის, ბეტონისა და ყორებეტონის წყობის გამოყენების არე”-დ მიღებულია I; 2 და 3 კატეგორიები (ცხრილი II.5 გვ. 29).

მარჯვენა ნაკვეთურს (თარხიშვილის ქუჩის გასწვრივ, სამხრეთის მხრიდან) ემიჯნება მრავალ სართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომელიც უშუალოდ მიშენებულია ჩვენს მიერ შესწავლილი შენობის კედელზე, რითაც დარღვეულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების – “სეისმომედეგი მშენებლობა” (პნ. 01.01-09) მე-6 მუხლის მფ-3 პუნქტის მოთხოვნა – “ანტისეისმური ნაკერები საჭიროა შეიძლებოს შეწყვილებული კედლების ან ჩარჩოების, აგრეთვე ჩარჩოსა და კედლის ამოცვანით. ანტისეისმური ნაკერის სიგანე (დრეჩო) უნდა განისაზღვროს გაანგარიშებით, მაგრამ ამასთან ერთად საჭიროა დაცული იქნეს შემდეგი პირობები: 4 მეტრამდე სიმაღლის შენობა-ნაგებობების ანტისეისმური ნაკერის სიგანე უნდა იყოს არანაკლებ 30 მმ, ხოლო უფრო მაღალი შენობა-ნაგებობის ნაკერის სიგანე უნდა გაიზარდოს 20 მმ-ით შენობის სიმაღლის ყოველ შემდგომ 5 მეტრზე.”

### III. კვლევის შედებების ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება

ქ. თბილისში, მელიქიშვილის ქ. №10-ში (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი №01.15.02.006.012, საჯარო რეესტრიდან ამონაწერის განცხადების რეგისტრაციის №882015618869 29/10/2015), მდებარე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის შენობის კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობის შესწავლისა და ანალიზის შედეგად დავრწმუნდით, რომ გამოკვლეული შენობა ვერ აკმაყოფილებს საქართველოში 2010 წლიდან მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების – “სეისმომედეგი მშენებლობა” (პნ. 01.01-09) ზოგიერთ მოთხოვნებს აგებისდროინდელ და დღევანდელ ნორმებს შორის შეუთავსებლობის გამო, კერძოდ:

- “ყველა ტიპის აგურის შენობისათვის აუცილებელ ანტისეისმურ ღონისძიებას წარმოადგენს სახურავისა და გადახურვების დონეზე (ან ის ქვეშ) გრძივი და განივი კედლების პერიმეტრზე ანტისეისმური სარტყლის მოწყობა” (პნ. 01.01-09 მუხლი 15 §.7). ეს მოთხოვნა ჩვენს შემთხვევაში გათვალისწინებული არ არის. მოთხოვნა ჩვენს შემთხვევაში გათვალისწინებული არ არის აღსანიშნავია, რომ ანტისეისმური ნაკერი არ გააჩნია მთავარი ფასადის კედლებსაც, რომლის შენარჩუნებაც წარმოადგენს დამკვეთის მიზანს.
- “გაძლიერების გარეშე აგურის წყობის შემთხვევაში სართულის სიმაღლის შეფარდება კედლის სისქესთან არ უნდა იყოს 10-ზე

მეტი (პნ 01.01-09 მუხლი 15 §10). ჩვენს შემთხვევაში (კედლის მოქნილობა I-სართულზე  $h/b=5,6/0,51=10,98>10$ ; II-სართულზე  $h/b=4,05/0,51=7,94<10$  და III-სართულზე მარცხენა და შუა ნაკვეთურებში იგივეა, რაც II-სართულზე, ხოლო თარხნიშვილის ქუჩის მხარეს კი კედლის მოქნილობა  $h/b=7,9/0,51=15,49>10$ ). აქ ქუჩის მხარეს კი კედლის მოქნილობა  $h/b=7,9/0,51=15,49>10$ ). აქ პირობა დაკმაყოფილებულია მხოლოდ მეორე სართულზე და მესამე სართულის ნაწილისათვის, ხოლო დანარჩენი კედლის მოქნილობა აღემატება დასაშვებს.

- განივ კედელსა ან მათ შემცვლელ რკინაბეტონის ჩარჩოებს შორის მანძილი დგინდება ანგარიშით და არ უნდა აღემატებოდეს მუ-9 ცხრილში მოყვანილ მნიშვნელობებს (პნ 01.01-09 მუხლი 15 §12). ცხრილის №1 პუნქტის თანახმად I და II ტიპის (ჩვენს შემთხვევაში ცხრილის I-ტიპის წყობა) აგურის წყობის დროს ზემოაღნიშნული გვაქვს 9,0 მ-ს. თუ შევინარჩუნებთ მხოლოდ მთავარი ფასადის კედელს, 9,0 მ-ს. თუ შევინარჩუნებთ მოქნილი კედელი მთელ სიგრძეზე, რისთვისაც საჭირო დაგვრჩება მოქნილი კედელი მთელ სიგრძეზე, რისთვისაც საჭირო იქნება დამატებითი ღონისძიებების ჩატარება კედლის სიხისტის გაზრდისათვის.
- ზღუდარები უნდა მოეწყოს კედლის მთელ სისქეზე და ჩამაგრდეს წყობაში არა უმცირესი 350 მმ სიღრმეზე. თუ ღიობის სიგანე არ აღემატება 1,5 მ-ს, დასაშვებია ზღუდარების ჩამაგრება კედლებში 250 მმ სიღრმეზე (პნ 01.01-09 მუხლი 15. §16). მთავარ ფასადზე 250 მმ სიღრმეზე უნდა ჩამაგრება კედლიერებას: თაღოვანი მდებარე ყველა ზღუდარი გაძლიერება გაძლიერებას: თაღოვანი ზღუდარები უნდა ჩამაგრება ლითონის გარსაკრებში, ხოლო ჩვეულებრივი, სწორეულთხა ღიობების ზღუდარები შეიძლება გაძლიერდნენ ღიოთონის ელემენტებით.
- არსებული მთავარი ფასადის კედლის საძირკვლთან მიმართებაში ახალი შენობის საძირკვლის დაშორება და ჩაღრმავება უნდა შეირჩეს სამშენებლო ნორმებისა და წესების - “შენობების და ნაგებობის ფუძეები” (პნ 02.01-08)-ს მუ-10 მუხლის §5-ის მოთხოვნათა გათვალისწინებით, რაც დამატებით სირთულეს ქმნის არსებული გათვალისწინებით, რაც დამატებით სირთულეს ქმნის არსებული მთავარი ფასადის კედლის შესანარჩუნებლად.

ჩატარებული გამოკვლევების შედეგების ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ გამოკვლეული შენობა ვერ აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების - საქართველოში მშენებლობა” (პნ 01.01-09) ზოგიერთ მოთხოვნებს, შენობის “სეისმომედეგი მშენებლობა” მიზანშეწონილია მთლიანი შენობის გამო. ექსპერტის მოსაზრებით მიზანშეწონილია მთლიანი შენობის დემონტაჟი, რადგანაც მთავარი ფასადის არსებული კედლის შენარჩუნება დემონტაჟი.

ამჟამინდელი მდგომარეობით შეუძლებელია, ხოლო გამაგრებითი სამუშაოების ჩატარების დროს საჭირო იქნება მოპირკეთების შრის მოხსნა, ღიობების გაძლიერება ლითონის გარსაკრებით, ლითონის ელემენტების შემოსვა წვრილადნაქსოვი ბადით (ე. წ. „რაბიცა“) და დაფარვა ქვიშა-ცემენტის ხსნარით, ხოლო შემდეგ კედლის უკან დამატებითი ჩარჩოს მოწყობა კედლის სიხისტის შესაქმნელად. ამ დამატებითი ჩატარების შემდეგ კედლის ავთენტურობის შენარჩუნება შეუძლებელია.

არსებული შენობის დემონტაჟის სამუშაოები უნდა შესრულდეს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით, კვალიფიციური საპროექტო ორგანიზაციის მიერ დამუშავებული კვალიფიციური საპროექტო ორგანიზაციის პროექტის შესაბამისად, საქართველოს მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის შესაბამისად, მთავრობის 2014 წლის 27 მაისის №361-ე დადგენილების - “მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი”-ს მოთხოვნათა გათვალისწინებით, რათა თავიდან იქნას აცილებული უბედური შემთხვევა შენობის დემონტაჟის დროს.

ექსპერტი, ინჟინერ-კონსტრუქტორი



რ. აფხაძე



ჩვენს მიერ შესწავლილი შენობა მდებარეობს მელიქიშვილის ქ. №10-ში და შედგება სამი სწორკუთხა ნაკვეთურებისაგან. ძირითად მზიდ ელემენტებს წარმოადგენს ჩვეულებრივი თიხის წითელი აგურის წყობა ქვიშა-ცემენტის ხსნარზე.



ეზოს ფასადი მარცხენა ნაკვეთურზე (ეზოს მხრიდან მარჯვენა მხარე) მთლიანად და შუა ნაკვეთურზე პირველი სართულის დონემდე შელესილია ქვიშა-ცემენტის ხსნარით,



დანარჩენ ფასადზე, პირველი სართულის დონეზე, ქვიშა-ცემენტის  
ნალესის შემდეგ დატანილია მოპრკეთების შრე.



სართულშეა და სასხვენო გადახურვები შერეული ტიპისაა: ნაწილი  
მოწყობილია ხის კოჭებზე



... ნაწილი კი შესრულებულია მონოლითური რკინაბეტონის წიბოვანი ფილებისაგან.



სახურავიც ნაწილობრივ ბრტყელია (ბურულად გამოყენებულია რულონური სახურავი), ნაწილობრივ კი ქანობიანი (ბურულად გამოყენებულია შავი თუნუქის სახურავი).



სართულებსშორის კომუნიკაცია ძირითადად ხორციელდება მარცხენა ნაკვეთურში მდებარე ცენტრალური სამმარშიანი კიბით.



შიგა ეზოს მხრიდან (შენობის უკანა ფასადზე) სართულშუა გადახურვების დონეზე შენობას გააჩნია მონოლითური რკინაბეტონის სარტყელი, რომელიც შეთავსებულია ღიობების ზღუდარებთან.



დანარჩენ ფასადებზე კი სარტყელის არსებობა არ შეიძლება.  
ფასადი აღმოსავლეთის მხრიდან



დანარჩენ ფასადებზე კი სარტყელის არსებობა არ შეიძლება.  
ფასადი სამხრეთისა და დასავლეთის მხრიდან



დაზიანებული შეისრული ზღუდარი



დაზიანებული ჩვეულებრივი ზღუდარი აგურის ჩამკეტით.

შენობას გააჩნია მრავალრიცხოვანი ნაპრალოვანი გამჭოლი ბზარები, რის  
გამოც წყვეტა განიცადა ზოგიერთმა კონსტრუქციულმა ელემენტმა



ბზარი სამხრეთის ფასადის კედლის წყობაში



ბზარი აღმოსავლეთის ფასადზე



გზარი ჩრდილოეთის (მელიქიშვილის ქუჩის მხრიდან) ფასადზე



გზარი დასავლეთის ფასადზე

ვერტიკალური წყალსარინი მიღების დაზიანების გამო, ინტენსიურად  
სკელდება ფასადის კედლები.



სამხრეთის ფასადი



აღმოსავლეთის ფასადი



ჩრდილოეთის ფასადი



სამხრეთის ფასადი თარხნიშვილის ქუჩის მხრიდან



ბზარი დავაფიქსირეთ ცენტრალური შესასვლელის იატაქშიც



მესამე სართულის კედლის (სააქტო დარბაზში) მოქნილობა  
თარხნიშვილის ქუჩის მხარეს აღემატება დასაშვიბს.